



ener2i – მეცნიერებიდან ინოვაციამდე ენერგეტიკაში:

„თანამშრომლობის გაძლიერება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან ენერგეტიკულ კვლევებსა და ენერგო-ინოვაციების შორის კავშირების გასაძლიერებლად“ (ENER2I)

ინოვაციური ვაუჩერების კონკურსი საქართველოში

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ENER2i (www.ener2i.eu) იწვევს საქართველოში მოღვაწე მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) წარმომადგენლებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ინოვაციებთან განახლებადი ენერჯის სფეროში და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასთან მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური ვაუჩერების კონკურსში.

კონკურსის მიზანია ინოვაციური პროექტების ინიცირება განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის დარგში პირდაპირი ფინანსური მხადაჭერის გზით პროექტის განვითარების ადრეულ ეტაპზე. მცირე და საშუალო საწარმოებს, მათ შორის დამწყებ (Start-ups) და შვილობილ (Spin-offs) კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა დაუკვეთონ სამეცნიერო-კვლევითი მომსახურება, რომელიც აუცილებელია მათი პროექტების განსახორციელებლად, რაც ამავდროულად ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაძლიერებას სამეცნიერო ორგანიზაციებთან.

ener2i კონკურსში მონაწილობისთვის აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ევროკავშირის მიერ დეკლარაციაში განცხადებულ განსაზღვრებას¹ (2003/361/) მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ;
- საქართველოში დარეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმო, კონკურსზე აპლიკაციის წარდგენის თარიღის ჩათვლით;
- კონკურსის ფარგლებში არ ფინანსდება პროექტები, რომლებმაც უკვე მიიღეს თანადაფინანსება ევროკავშირისგან;

¹მცირე და საშუალო საწარმოები - დეფინიცია: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენს საწარმოს, სადაც დასაქმებულია რაოდენობა არ აღემატება 250 ადამიანს და წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს ანდა წლიური ბალანსი არ აღემატება 43 მილიონ ევროს. European Commission - EN NB-60-04-773-EN-C 92-894-7909-4 – „The new SME definition – User guide and model declaration“. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index_en.htm



- აპლიკანტი უნდა თანამშრომლობდეს სამეცნიერო ორგანიზაციასთან;
- პროექტის განხორციელების ვადა (ინოვაციური ვაუჩერის გამოყენების პერიოდი/ვადა) არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს კონტრაქტის ხელმოწერის თარიღიდან;

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო საპროექტო წინადადება დაჯილდოვდება 4000 ევროთი; სულ გამოვლინდება ექვსი საუკეთესო პროექტი. ინოვაციური ვაუჩერი უნდა დაიხარჯოს კვლევისა და განვითარებაში ჩართულ ადამიანებზე ან მგზავრობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის ტრანსფერს/გაზიარებას საერთაშორისო დონეზე.

ინფორმაციას შეფასებისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ, ასევე სხვა დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ თანდართულ დოკუმენტში - [ener2i ინოვაციური ვაუჩერების პირობები - საქართველო \(pdf\)](#)

განცხადების გამოქვეყნების თარიღი: 4 მარტი, 2015

გაცხადებების მიღების ბოლო ვადა: 4 მაისი, 2015; 17:00 (თბილისის დროით, ონლაინ რეგისტრაციის თარიღი)

საკონტაქტო პირი საქართველოში: [ელენე გვილაგა \(e_gvil@eecgeo.org\)](mailto:e_gvil@eecgeo.org),
[ლიანა ღარიბაშვილი \(l_gari@eecgeo.org\)](mailto:l_gari@eecgeo.org)

ონლაინ რეგისტრაციის პროცედურა:

1. შეფასების ჯგუფი განხილავს მხოლოდ ონლაინ რეგისტრაციის შედეგად მიღებულ სააპლიკაციო ფორმებს: <http://survey19.zsi.at/index.php/377258/lang-en>
2. სააპლიკაციო ფორმის შესავსებად თავდაპირველად საჭიროა გაიაროთ ონლაინ რეგისტრაცია (<http://survey19.zsi.at/index.php/377258/lang-en>). რეგისტრაციის შემდეგ თქვენს ელ-ფოსტაზე გამოიგზავნება სააპლიკაციო ფორმის პერსონალური ბმული;
3. თქვენს ელ-ფოსტაზე შესაბამისი ბმულის მიღების შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ სააპლიკაციო ფორმის **A ნაწილის** შევსება;
4. სააპლიკაციო ფორმის **B ნაწილი** საჭიროებს წინასწარ შევსებას doc ფორმატში ([download here - Part B template \(doc\)](#)) და სისტემაში აიტვირთება მხოლოდ სააპლიკაციო ფორმის **A ნაწილის** შევსების შემდეგ. ონლაინ სააპლიკაციო ფორმა ისე არის შედგენილი, რომ თავად დაგეხმარებათ გაიაროთ ყველა ეტაპი. დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ჩვენს დახმარების ცენტრს შემდეგ მისამართზე office@ener2i.eu;
5. მას შემდეგ, რაც ატვირთავთ სააპლიკაციო ფორმის **B ნაწილს**, გთხოვთ დააწკაპუნოთ „Submit“ (“გაგზავნა/წარდგენა”) ლილაკზე.
6. სააპლიკაციო ფორმის ატვირთვის შემდეგ თქვენ მიიღებთ ელ-ფოსტაზე სააპლიკაციო ფორმის მიღების **დადასტურების წერილს**.



This project has received funding from the European Union's Seventh Framework Programme for research; technological development and demonstration under grant agreement no 609532.